

დმანისის წარწერების ციფრული გამოცემა, სტანდარტიზებული კოდირება  
და სარედაქციო ფოკუსი

ნათია გელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დობორჯგინიძე, პროფესორი

თანახელმძღვანელი: თამარა კალხიტაშვილი, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია გელაშვილი

22.06.2018

## აბსტრაქტი

სტრატეგიული მდებარეობის გამო დმანისის ეპიგრაფიკული მემკვიდრეობა ქართული ენისა და ისტორიის განსაკუთრებულ მონაპოვარს წარმოადგენს. დმანისის ეპიგრაფიკულ ძეგლებს დიდი ხანის განმავლობაში ამუშავებდნენ მკვლევრები, მაგრამ არ არსებობდა სამეცნიერო სტანდარტებით დამუშავებული ეპიგრაფიკული კორპუსი, რომელიც დაინტერესებულ პირებს ინტერნეტის საშუალებით მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე მიაწვდიდა ინფორმაციას დმანისის წარწერების შესახებ.

ნაშრომის მიზანია დმანისის წარწერების ციფრული გამოცემის XML-ის ფორმატში დამუშავება EpiDoc-ის გაიდლაინების გამოყენებით; TEI-ში შემავალი ტაგებისა და EpiDoc-ის გაიდლაინების მიხედვით სტანდარტიზებული კოდირების მომზადება და წარწერების მეტამონაცემებსა და ტექსტურ ნაწილთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა.

ეპიგრაფიკული ძეგლების ციფრული ვარიანტის შესაქმნელად გამოყენებულია EpiDoc-ისა და TEI-ის გაიდლაინები. თითოეული წარწერა ცალ-ცალკე დამუშავდა XML-ის ფაილებში. დამუშავებული წარწერები დაუკავშირდნენ EAGLE Europeana-ს. EAGLE EpiDoc-ის სტანდარტით დამუშავებულ მასალებს ბმულებით იკავშირებს და მომხმარებლისთვის ბაზაზე წვდომას ამარტივებს.

კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ წარწერების ციფრული მოდელის შესაქმნელად EpiDoc საკმაოდ მნიშვნელოვანი და გამოყენებადი პროგრამული საშუალებაა და მისი გაიდლაინების გამოყენებით XML-ის ფორმატის შედგენა და მასში მონაცემების განთავსება ამომწურავი ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა ციფრულად დამუშავებული ეპიგრაფიკული წარწერების შესახებ. მასში წარწერის ორიგინალში არსებული ნებისმიერი ნიუანსის აღნიშვნაა შესაძლებელი, რაც მომხმარებელს ორიგინალის ტექსტის სრულად აღდგენაში ეხმარება.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ჰუმანიტარია, ციფრული ეპიგრაფიკა, EpiDoc-ის სტანდარტი, TEI, XML, ეპიგრაფიკული წარწერა

## Abstract

The strategic location of Dmanisi epigraphic heritage is a unique achievement of Georgian language and history. Epigraphic monuments of Dmanisi have long been worked out by researches, but there was no epigraphic corpus developed by scientific standards that would provide information to people around the world at any place on the Dmanisi inscription.

The purpose of the work is to develop digital edition of Dmanisi inscription in XML format by using EpiDoc guidelines, preparing standardized encoding according to tags and EpiDoc guidelines in TEI and solving problems related to meta data and text part.

EpiDoc and TEI guidelines have been used to create digital versions of epigraphic monuments. Each inscription is separately processed into XML files. The processed inscriptions were connected to EAGLE Europeanas. The processed items by EAGLEEpiDoc standard links and simplifies access to the user.

As a result of the research, EpiDoc is a very important and useful tool for creating a digital signature of inscriptions, and using its guidelines to compile an XML format and putting data in it gives exhaustive information on processed epigraphic inscriptions. It is possible to mark any nuances in the original of inscription, which helps the user to restore the original text.

**Keywords:** Digital Humanities, Digital Epigraphy, EpiDoc Standard, TEI, XML, Epigraphic Inscription.